შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№44 (9.758)

19 – 26 ნოემბერი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

მე-9 მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილება სცნეს

გვ.2

ახალი რეგულაციები რძის მწარმოებელთათვის

გვ.6

განახლებული ბლოკ-პოსტი დედოფლისწყაროში

გვ.3

გვ.3

კვალიფიციური ექიმების მომსახურებით მოსახლეობა კმაყოფილი დარჩა

ემიგრანტებისთვის პროგრამა „საქართველო გელოდებათ“

გვ.2

განხორციელდება

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა და მზადება საპატიო სტუმრის სტატუსისთვის

გვ.5

გვ.8

ხელგარჯილობა – მტკიცე ნებისყოფა, ლოგიკური აზროვნება, ინტელექტუალური წინსვლა, ნატიფი მოტორიკა...

მე-9 მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილება სცნეს

მე-9 მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილება ცნობილია. დროებითი სამანდატო კომისიის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი პარლამენტმა 146 ხმით მიიღო.

პარლამენტმა 150-ივე ახალარჩეული წევრის უფლებამოსილება ცნო. კენჭისყრამდე მათი გვარები დროებითი სამანდატო კომისიის ხელმძვანელმა გიორგი კახიანმა წაიკითხა.

მათ შორის ცნობილია, გიორგი კვირიკაშვილისა და სანდრა რულოვსის სადეპუტატო უფლებამოსილებაც.

ამის შემდეგ ახალარჩეულმა დეპუტატებმა ფიცი დადეს.

მე-9 მოწვევის პარლამენტი შემდეგი კონფიგურაციით იქნება წარმოდგენილი: - "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" შემადგენლობაშია 115 დეპუტატი. 27 დეპუტატით არის წარმოდენილი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა". პარლამენტში 6 დეპუტატისგან შედგება "პატრიოტთა ალიანსის" გაერთიანება. "თოფაძე - მრეწველები" წარმოდგენილია ერთი მაჟორიტარი დეპუტატით და კიდევ ერთი, საინიციატივო ჯგუფის სახელით არჩეული სალომე ზურაბიშვილია.

მთავრობას უფლებამოსილება შეუწყდა და პრეზიდენტის განკარგულებით მინისტრებს მოვალეობის შესრულება დაეკისრათ

პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც მთავრობის წევრები ასრულებენ მთავრობის წევრების მოვალეობას, - ამის შესახებ ჟურნალისტებს პრეზიდენტის მრჩეველმა ანა დოლიძემ განუცხადა.

მისივე განმარტებით, იქედან გამომდინარე, რომ მოხდა ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობა, კანონმდებლობის შესაბამისად, მთავრობას ავტომატურად შეუწყდა უფლებამოსილება.

„გარდამავალ პერიოდში, სანამ მოხდება ახალი მთავრობის დაკომპლექტება, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც, ჩვენი მთავრობის წევრები ასრულებენ მთავრობის წევრების მოვალეობას.

როდესაც მოხდება ახალი პრემიერის წარმოდგენა და ახალი მთავრობის დაკომპლექტება, რა თქმა უნდა, აღარ გვეყოლება მოვალეობის შემსრულებელი და გვეყოლებიან მთავრობის წევრები", - განამარტა დოლიძემ.

კანონმდებლობით, ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისთანავე, მთავრობას უფლებამოსილება უწყდება.

ძველ მთავრობას ახლის არჩევამდე დროებით მოვალეობის შესრულება ეკისრება, რაზეც შესაბამის სამართლებრივ აქტს პრეზიდენტი გამოსცემს.

არსებული ინფორმაციით, ახალი მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებული პროცედურები პარლამენტში მომავალი კვირიდან დაიწყება. კერძოდ, პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან 5-დღის ვადაში პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას წარუდგენს, ხოლო პრეზიდენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან 7 დღის ვადაში წამოაყენებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას.

თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი 7 დღის ვადაში შეარჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და პარლამენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად. პარლამენტი მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან 7-დღის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს.

პარლამენტის ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.

ამასთან, როგორც ცნობილია, "ქართული ოცნება" მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებული ვადების ბოლომდე გამოყენებას არ აპირებს. მმართველი პარტია გეგმავს, მინისტრთა კაბინეტის განახლებული შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი მომავალ კვირას განიხილოს და მხარი დაუჭიროს.

ირაკლი კობახიძე - საკონსტიტუციო რეფორმა ამ მოწვევის პარლამენტის განსაკუთრებული გამოწვევაა

საქართველოს პარლამენტს ეკისრება უმნიშვნელოვანესი როლი ხელისუფლების დანაწილების სისტემის ფუნქციონირებაში, - ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატმა ირაკლი კობახიძემ მე-9 მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც კობახიძემ აღნიშნა, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, საქართველოს პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესის შეუქცევადი განვითარება.

"ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა, სამართლის უზენაესობა და დემოკრატია არის ის ღირებულებები, რომლებსაც უნდა დაეფუძნოს ხელისუფლების ყოველი მოქმედება. ამ პრინციპების დაცვის საქმეში საქართველოს პარლამენტს განსაკუთრებული როლი ეკისრება. გასული ოთხი წლის მანძილზე, საქართველომ განიცადა განსაკუთრებული, ფუნდამენტური წინსვლა დემოკრატიული განვითარების მიმართულებით. აუცილებელია ამ მიღწევის კიდევ უფრო გამყარება და ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის სტანდარტის პერმანენტული ამაღლება, რაც საქართველოს პარლამენტის განსაკუთრებულ ყურადღებას და ძალისხმევას მოითხოვს. საქართველოს პარლამენტს, როგორც ყველაზე დიდი ლეგიტიმაციის მქონე კონსტიტუციურ ორგანოს, ეკისრება უმნიშვნელოვანესი როლი ხელისუფლების დანაწილების სისტემის ფუნქციონირებაში. მომდევნო 4 წლის განმავლობაში უფრო მეტად უნდა განვითარდეს ხელისუფლების დანაწილების იმგვარი სისტემა, რომელიც კონსტიტუციურ ორგანოებს- პარლამენტს, პრეზიდენტს, მთავრობას, სასამართლო ხელისუფლებას შორის ურთიერთპატივისცემაზეა აგებული. მხოლოდ ამგვარი ურთიერდამოკიდებულების პირობებში შეძლებს თითოეული კონსტიტუციური ორგანო და რაც მთავარია, მთლიანად სახელისუფლებო სისტემა, ჯეროვან და ეფექტიან ფუნქციონირებას ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ", - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მან ასევე საკონსტიტუციო რეფორმაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისი განხორციელება ამ მოწვევის პარლამენტის განსაკუთრებული გამოწვევაა.

"მინდა აღვნიშნო, რომ საკონსტიტუციო რეფორმაც, რომლის განხორციელებაც ამ მოწვევის პარლამენტის განსაკუთრებული გამოწვევაა, სწორედ ამ პრინციპების დაცვით უნდა განხორციელდეს. საქართველოს პარლამენტმა უნდა დააფუძნოს კონსტიტუციის გადასინჯვის იმგვარი ფორმატი, რომელიც ყველა შესაბამისი მხარის ფართო ჩართულობისა და ფართო კონსესუსის საფუძველზე მოგვცემს კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე პრინციპებთან სრულ, ვიმეორებ- სრულ, შესაბამისობაში მყოფი დოკუმენტის შექმნის შესაძლებლობას", - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ემიგრანტებისთვის პროგრამა „საქართველო გელოდებათ" განხორციელდება

საზღვარგარეთ საქართველოს ყველა საელჩოში ინიციატივა „საქართველო გელოდებათ" დაინერგება. საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, ინიციატივის ფარგლებში საზღვარგარეთ მყოფი თანამემამულეები და დიასპორის წარმომადგენლები მიიღებენ ამომწურავ ინფორმაციას და შესაბამის დახმარებას საქართველოში არსებულ შესაძლებლობებზე, მათ შორის, ქვეყნის ეკონომიკაზე, საჯარო და კერძო სექტორზე, საინვესტიციო გარემოზე.

მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, საელჩოებში და საკონსულო დაწესებულებებში დიასპორის წარმომადგენლებისთვის სპეციალური „ცხელი ხაზი" ამოქმედდება.

„საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ის სირთულეები, რომელთან გამკლავებაც თქვენ ადგილსამყოფელ ქვეყნებში გიწევთ. უკლებლივ ყველა საელჩოსა და გენერალურ საკონსულოში საქართველოს მოქალაქეებისთვის და დიასპორის წარმომადგენლებისთვის იმოქმედებს „ცხელი ხაზი", რომლის დახმარებითაც მოქალაქეებს საშუალება მიეცემათ მყისიერად აცნობონ სამინისტროს თავის პრობლემებზე, ასევე, ოპერატიულად მოხერხდეს მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის მექანიზმების მოძიება", - განაცხადა მინისტრმა დიასპორის საკითხებზე გამართულ კონფერენციაზე „ქართული დიასპორა - დღევანდელობა და გამოწვევები".

„ზარით დაკრძალვის სვანურ რიტუალს" კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ „ზარით დაკრძალვის სვანურ რიტუალს" არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

მნიშვნელოვანია, რომ სტატუსი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ მომზადებულ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტის სააღრიცხვო ბარათის საფუძველზე მიენიჭა, რომელიც ცენტრმა რამდენიმე თვის წინ წარუდგინა.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი გამოდის მორიგი ინიციატივით, უკვე აღიარებულ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისთვის ეროვნული ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე. ამის შესახებ ცენტრი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უახლოეს დღეებში მიმართავს.

ცნობისათვის, სვანეთში დაკრძალვასთან და მიცვალებულის პატივის მიგებასთან დაკავშირებული ყველა ის რიტუალი და წეს-ჩვეულება, რომელიც საუკუნეების წინ არსებობდა, თითქმის უცვლელი სახითაა შემორჩენილი.

„ზარი" არის ერთადერთი ხალხური სასიმღერო ნიმუში, რომლის შესწავლა ოჯახში არ შეიძლება. იგი სადმე გარეთ, ტყეში, ან მდინარის პირას ისწავლება. სვანეთის ფოლკლორული ანსამბლები „ზარის" თქმას სცენაზეც ერიდებიან. ის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელიც ამთლიანებს დაკრძალვის რიტუალს, რომლის სიძველეს თვით ამ ფოლკლორული ნიმუშის ფუნქციური და ინტონაციური ანალიზიც ცხადყოფს.

„გოსფილმოფონდში" დაცული ოთხი ქართული ფილმი საქართველოში დაბრუნდა

რუსეთის სახელმწიფო ფილმოფონდში დაცული ქართული ფილმები საქართელოს დაუბრუნდა. პირველ ეტაპზე, ქართულ მხარეს ოთხი ქართული ფილმის ასლი გადმოეცა:

„ჰოლტზე" – რეჟისორი ლეო ესაკია;
„ამერიკანკა" – რეჟისორი ლეო ესაკია;
„ბუბა" – რეჟისორი ნუცა ღოღობერიძე;
„უკანასკნელ საათს" – რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლის 30 სექტემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ და „გოსფილმოფონდის" გენერალურმა დირექტორმა ნიკალაი ბოროდაჩევმა ხელი მოაწერეს ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს, რომლის თანახმადაც „გოსფილმოფონდი" საქართველოს გადმოსცემს 1921 წლიდან 1991 წლამდე გადაღებულ და ფონდის არქივში დაცულ ქართულ ფილმებს.

„ინიციატივა ფილმების ქართული მხარისთვის გადმოცემასთან დაკავშირებით, 90-იან წლებში გაჩნდა, თუმცა ქართველი კინემატოგრაფისტების დიდი ძალისხმევისა და მრავალწლიანი მცდელობის მიუხედავად, რიგი მიზეზების გამო ამ დრომდე ვერ განხორციელდა. „გოსფილმოფონდში" დაცული ქართული კინოარქივის სრულად საქართველოში დაბრუნებას 7 წელი დასჭირდება. დაბრუნებული ფილმების საწყისი მასალები ფილმის ნებისმიერ ფორმატში გადაყვანის შესაძლებლობას იძლევა", - აცხადებენ კულტურის სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, საქართველოში საერთაშორისო, თანამედროვე სტანდარტის კინოარქივის შექმნა იგეგმება.

„გოსფილმოფონდი" მსოფლიოს უდიდესი კინოარქივების სამეულში შედის, რომლის ფილმების კოლექციაში 70 000-მდე დასახელების კინოსურათი ინახება. ფილმსაცავში ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკების, მათ შორის, კინოსტუდია „ქართულ ფილმში" შექმნილი ფილმების ორიგინალებია დაცული.

განახლებული ბლოკ-პოსტი დედოფლისწყაროში

15 ნოემბერს შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N4 სამმართველოს (დედოფლისწყარო) N2 სექტორ „იორის“ ახალი შენობა გაიხსნა. ღონისძიებას შს მინისტრის მოადგილე, სასაზღვრო პოლიციის უფროსი ზურაბ გამეზარდაშვილი, შს მინისტრის მოადგილე მერაბ მალანია, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში იან კელი, აშშ-ს საელჩოს, აშშ-ს ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების (EXBS) პროგრამის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.ადგილზე იმყოფებოდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი. ახალი სასაზღვრო სექტორის შენობა თანამედროვე სტანდარტებს სრულად შეესაბამება. იგი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის 40 კილომეტრიან მონაკვეთს მოემსახურება და მესაზღვრეებს თავიანთი პროფესიული მოვალეობის უკეთესად შესრულებაში შეუწყობს ხელს. შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია, ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან, ასევე, დონორ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად, ახლო მომავალში კიდევ რამდენიმე ახალ სასაზღვრო სექტორს ააშენებს, რაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების ეფექტურ დაცვას უზრუნველყოფს.



კვალიფიციური ექიმების მომსახურებით მოსახლეობა კმაყოფილი დარჩა

ისედაც სულ მუდამ ხალხმრავლობაა ჩვენს ახლადგახსნილ საავადმყოფო-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში, მაგრამ 18 ნოემბერს, როგორც იტყვიან, აქ ნემსი არ ჩავარდებოდა, რადგან დედაქალაქიდან სამედიცინო ბრიგადა ჩამოვიდა. შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ორგანიზებით ქიმიოთერაპიისა და იმუნოთერაპიის კლინიკა „მედულას“ და აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის ექიმებმა საქველმოქმედო აქცია გამართეს, რაც პაციენტთა უფასო გასინჯვა-დიაგნოსტირებას და მათი სათანადო რეცეპტურით უზრუნველყოფას გულისხმობდა. აქციაში მონაწილეობდნენ კარდიოლოგები, ონკილოგ-მამოლოგი, ონკოგინეკოლოგ-სეფსოლოგი, ენდოკრინოლოგი, რადიოლოგი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ახალი საავადმყოფო სათანადოდაა აღჭურვილი სამედიცინო ტექნიკით, სტუმრებმა მაინც დამატებით ჩამოიტანეს მოძრავი დანადგარები, რომელიც პაციენტთა დროულ მომსახურებას უწყობდა ხელს. მათ ღირსეულ პარტნიორობას უწევდნენ ჩვენი ექიმები და სამედიცინო პერსონალი.

ვესაუბრებით შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის მოადგილეს, აქციის ხელმძღვანელს ნუგზარ ჯანჯღავას:

- იმის გამო, რომ ბოლო წლებში გამორჩეულად მოიმატა გულსისხლძარღვთა და ენდოკრინულმა დაავადებებმა და მოსახლეობა ვერ ახერხებს სრულფასოვანი სამედიცინო კვლევების ჩატარებას, ცენტრის ხელმძღვანელობამ, თქვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, გადაწყვიტა, მოსახლეობას დახმარებოდა და ადგილზე ჩაეტარებინა მაღალი კლასის სამედიცინო მომსახურება. ორი წამყვანი კლინიკის ექიმებით დაკომპლექტებული ბრიგადა ჩამოვიდა და მოსახლეობას გაუწია სრულფასოვანი გამოკვლევები, გასინჯვები. ძირითადად ისინი კონსულტაციებით და სათანადო რეცეპტურით დაეხმარნენ პაციენტებს, მაგრამ იყო რამოდენიმე გადაუდებელი შემთხვევა, სადაც გამოვლენილი იყო მწვავე პათოლოგიები, რის გამოც პაციენტები გადამისამართდნენ თბილისის შესაბამის კლინიკებში. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი თანამშრომლობა არ იქნება ერთჯერადი, მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად ცენტრი მზად არის, ჩაატაროს მაღალკვალიფიციური კვლევები და დაეხმარნენ აქაურ პაციენტებს სხვადასხვა მიმართულების დაავადებების მიხედვით. ამ ყველაფრის ორგანიზატორი და ინიციატორი კი გახლავთ ჩვენი ცენტრის დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ამ საავადმყოფოს აშენებაში. სწორედ მისი დაუღალავი შრომის წყალობით მიიღო დედოფლისწყაროს მოსახლეობამ ეს შესანიშნავი საჩუქარი. ეს შენობა ჩვენი ორგანიზაციის ბალანსზეა და მას ყურადღება მომავალშიც არ მოაკლდება. ჩვენი ცენტრი ახდენს, აგრეთვე, მედპერსონალის გადამზადებას და სამედიცინო ხარისხის ამაღლებას. აქვე აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ დიდი შრომა გასწია კლინიკის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ხათუნა ზურიკაშვილმა და ბატონმა ვანო ნატროშვილმა, რათა ორგანიზებულად ჩატარებულიყო ეს ღონისძიება. ზოგადად, მინდა ვთქვა, რომ თქვენს რაიონს ვანო ნატროშვილის სახით ჰყავს ერთი ძლიერი გულშემატკივარი და მებრძოლი ადამიანი, ვინც ყველაფერს აკეთებს თავისი ხალხისთვის-თქვა ბატონმა ნუგზარმა.



ბონდო მაკარაძე, ნესტან ლაშხი, ლიკა პერტაია მუშაობისას

ხათუნა ზურიკაშვილი:

- დილიდან გვიან ღამემდე, ვიდრე ერთი პაციენტი მაინც იყო, ექიმებმა თავდაუზოგავად იშრომეს. დიდი მადლობა მათ ამისთვის. დღეს 350-მდე პაციენტი გაისინჯა, რაც, დამეთანხმებით, ცოტა არ არის. მადლობა ჯანდაცვის რეგიონული ცენტრისა და ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, კონკრეტულად გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს მხარში დგომისა და ორგანიზებისათვის. კვლავაც ველოდებით შემდგომ აქციებს სხვადასხვა დარგში.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი:

- ჩვენ სიამოვნებით მივიღეთ ცენტრის და ჩვენი კლინიკის ხელმძღვანელობის შემოთავაზება საქველმოქმედო სამედიცინო აქციასთან დაკავშირებით. დავავალეთ სოფლების რწმუნებულებს, ინფორმაცია მიეტანათ სოფლის მოსახლეობისთვის, ასევე მოეხდინათ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის აქციაში მონაწილეობის ორგანიზება. როგორც თავად ხედავთ, ქალაქის მოსახლეობასთან ერთად, აქ სოფლიდან მოსულებიც მრავლად არიან. ზოგიერთ სოფელს თავისი ექიმიც ახლავს, რაც მათ მაღალ პასუხისმგებლობაზე მეტყველებს. ჩვენ კვლავაც ვითანამშრომლებთ „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრთან“ და მოვიწვევთ სხვადასხვა მიმართულების ექიმებს იმის გათვალისწინებით, თუ რომელი დარგის პაციენტი გვყავს ბევრი და რომ ჩვენს ხალხს მხარში დგომა სჭირდება-ბევრი ვერ ახერხებს დედაქალაქში წასვლას და კვალიფიციური სამედიცინო სერვისით სარგებლობას.

ციცინო გალაშვილი (პაციენტი არბოშიკიდან):-ძალიან კმაყოფილი მივდივარ. ონკოლოგიური ავადმყოფი ვარ. გავიკეთე ოპერაცია და მაინტერესებდა, როგორი შედეგი მაქვს. ყველა გამოკვლევა ჩამიტარეს, კონსულტაციაც გამიწიეს, დამამშვიდეს და დამაიმედეს. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

ნესტან ლაშხი (კარდიოლოგი): **- ბევრი პაციენტი მოვიდა. ძირითადად გამოიკვეთა სტენოკარდიები, გულის უკმარისობა, არტერიული ჰიპერტენზია, სარქვლოვანი პათოლოგიები(მანკები), შაქრიანი დიაბეტები. ადგილზე კარდიოგრამის გადაღებაში გვეხმარებოდა ჩვენი გამოცდილი მედდა ლიკა ზაზიაშვილი.**

ლიკა პერტაია **- ენდოკრინოლოგი, კლინიკა „მედულას“ ენდოკრინოლოგიური განყოფილების გამგე - ზოგადად, ენდოკრონოლოგიური დაავადებები მთელ მსოფლიოში მომატებულია და ასეა ჩვენს ქვეყანაში და თქვენს რაიონშიც. გამოკვეთილად ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები და შაქრიანი დიაბეტი დომინირებს. ჩვენ თან გვაქვს აპარატურა, რითაც ადგილზე ვიკვლევთ ფარისებრ ჯირკვალს. პაციენტი ბევრია. ვცდილობთ, მაქსიმალური კონსულტაცია გავუწიოთ.**

ექიმების კვალიფიციური და გულისხმიერი მომსახურებით მოსახლეობა კმაყოფილი დარჩა.

ნაირა გორაშვილი

„შემოდგომის სიუხვით ხაროს ჩვენი სოფლები“...

ქალაქის ყველა საჯარო სკოლაში „შემოდგომის ფესტივალი“ გრძელდება, ამჯერად N1 საჯარო სკოლის მეოთხე ა კლასში ვიმყოფებით. კლასის დამრიგებელი ლეილა ფიროსმანაშვილი უკვე 24 წელია თავდაუზოგავად მოღვაწეობს დაწყებითი სწავლების საფეხურზე. როგორც მშობელმა, მინდა ვთქვა, რომ იგი ბავშვებისთვის განსაკუთრებულად საყვარელ მასწავლებელთა რიგებშია. მუდამ ხალისიანი, მუდამ ახალგაზრდა, პოზიტიური ენერგიით სავსე ერთნაირი მონდომებითა და სიყვარულით ატარებს გაკვეთილებს, როგორც საკუთარ სადამრიგებლოში, ასევე პარალელურ თუ სხვა კლასებში.

ულამაზეს გოგო-ბიჭებს შემოდგომის ფერებში გადაწყვეტილი საკლასო ოთახი კიდევ უფრო ამშვენებს, ღონისძიების სახელწოდებაა“ გვიანი შემოდგომა“, მაგრამ განწყობა გაზაფხულისმაგვარია. კლასის ერთ მხარეს ხალისიანი, ბედნიერი ბავშვები სხედან, მეორეში კი სახეგაბრწყინებული

მშობლები მოუთმენლად ელიან შვილების გამოსვლას, მათ მიერ შესრულებულ ცეკვა-სიმღერას, ინსცენირებას, წარმოთქმულ ლექსს, უნდათ, კიდევ ერთხელ დაინახონ მათი შვილების შესაძლებლობები, ის უნარ-ჩვევები, რასაც ისინი ზოგჯერ ოჯახებში არც კი ავლენენ.

მოსწავლეებმა საკლასო ოთახში შექმნილი საზეიმო განწყობის ფონზე, ლექსების მეშვეობით აღწერეს შემოდგომის სიუხვე, შეასრულეს როგორც ხალხური, ასევე სამეჯლისო ცეკვები, დადგეს სცენარი „ქურთი მეეზოვე ქალი“, სადაც ანასა და ნიკას მიერ მდიდარი შემოქმედებით-წარმოსახვითი უნარი იქნა გამოვლენილი. თითოეული მოსწავლე თანაბრად იყო ჩართული ღონისძიების მსვლელობაში მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ღონისძიების დასასრულს დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ეთერ ზურიკაშვილმა, N1 საჯარო სკოლის დირექტორმა ეთერ ოთარაშვილმა და დაწყებითი კლასების პედაგოგმა ბელა სულაშვილმა მადლობა გადაუხადეს ლეილა მასწავლებელს ასეთი დახვეწილი და სრულყოფილი ღონისძიების ჩატარებისათვის.

ელზა ხარაშვილი

„ხილეული დამწიფდა, შემოდგომა გვეწვია“...

წელიწადის ამ დროს ყოველთვის საზეიმო განწყობაა საჯარო სკოლების დაწყებით კლასებში, პედაგოგებს და მოსწავლეებს არ უყვართ შემოდგომის ზეიმის გამოტოვება. ანდა, როგორ არ უნდა აღნიშნო ეს მადლიანი დრო, მით უფრო ქიზიყში? N2 საჯარო სკოლის მეორე სართულის კედლები ლამაზადაა გაფორმებული და მთლიანად ასახავს ჩვენი კუთხის შემოდგომის ხვავსა და ბარაქას.

შესაბამის ფორმებში გამოწყობილი მეხუთეკლასელები, კლასის დამრიგებელ ელენე კიკილაშვილთან ერთად ესალმებიან მოწვეულ სტუმრებს და მრავალფეროვანი, თემატურად დატვირთული, მუსიკალურად გაფორმებული ღონისძიებაც იწყება.

„ლოყებღაჟღაჟა ვაშლებითა და მოკისკისე ბროწეულებით“, ჩამტკბარი ყურძნითა და მოხითხითე სიმინდის აკიდოებით“, კიდევ სხვა უამრავი სარჩო-სანოვაგით მორთულ კედლებს მოთუხთუხე თათარის სურნელი ერწყმის, სიჩუმე სოსო ჯავახიშვილის სიმღერამ დაარღვია, მას ლექსი მოჰყვა, ლექსს სალომესა და ლუკას მიერ შესრულებული ცეკვა“ქართული“ ცვლის, შემდეგ მოსწავლეები ქართული ვაზის ჯიშების შესახებ გვაწვდიან ვრცელ ინფორმაციას, გვესაუბრებიან ღვინის სასარგებლო და მავნე თვისებებზე. ბავშვებს არც „შაქრო პაპას და მატრონე ბებოს“ მხიარული რთველის მხატვრულად დადგმა გასჭირვებიათ, მას ლანას და რებეკას მიერ შესრულებული აჭარული ცეკვა მოჰყვა, კიდევ უამრავ ინფორმაციას ვიღებთ შემოდგომის , როგორც წელიწადის უნიკალური დროის შესახებ და მხიარული განწყობით მოსწავლეები ჩურჩხელების ამოსავლებად ემზადებიან. ღონისძიებაზე აქცენტი გაკეთდა ქვევრის და ზედაშის არსზე, ქართული ღვინის კულტურასა და მის პოპულარიზაციაზე, ქართული ტრადიციების დაცვასა და მოფრთხილებაზე.

ღონისძიების დასასრულს ოლიკო მასწავლებელმა მადლობა გადაუხადა პედაგოგებს, მოსწავლეთა მშობლებს და მოწვეულ სტუმრებს მობრძანებისთვის.

ელზა ხარაშვილი

საქართველოს პრეზიდენტმა 2017 წელი განათლების წლად გამოაცხადა

განათლება თავისუფლებაა და მხოლოდ განათლებული ადამიანი აღწევს შინაგან, სოციალურ და პოლიტიკურ თავისუფლებას, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მე-9 მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, ჩვენი ქვეყანა განათლებული და თავისუფალი საზოგადოებით ერთად გაივლის გზას დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ. პრეზიდენტის თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ დღესვე უნდა დაიწყოს ცვლილებები, რადგან არ გვაქვს დრო, რომ მომავალი საქართველოს შენება ათეული წლებით გადავდოთ. ამასთან პრეზიდენტმა 2017 წელი განათლების წლად გამოაცხადა.

„ქვეყანას მყისიერი წარმატება სჭირდება ყველა სფეროში, რასაც მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმით, მყარი სამოქალაქო თვითშეგნებით და პროგრესული იდეებით განვახორციელებთ“, - აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა და მზადება საპატიო სტუმრის სტატუსისთვის

გაყიდული საავტორო უფლებები, შეხვედრები და მოლაპარაკებები უცხოელ გამომცემლობებთან, ახალი კონტაქტები თუ კონტრაქტები, ახალი აღმოჩენები – 2016 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა გამორჩეული და განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა ქართული ლიტერატურისა და ქართული გამომცემლობებისთვის.

თუკი წინა წლებში საქართველოს უწევდა იმის მტკიცება, რომ ამ ქვეყანაში ღირებული ლიტერატურა იქმნება, ლიტერატურა, რომელიც მსოფლიოსთვის საინტერესო უნდა იყოს, წელს, ფრანკფურტის 68-ე ბაზრობაზე, ქართველ გამომცემლებს, ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრსა და წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციას, შეიძლება ითქვას, ამის მტკიცება აღარ დასჭირვებია:

72 კვადრატულ მეტრზე მოწყობილ ქართულ სტენდზე რამდენიმე ასეული წიგნის, ათი გამომცემლობისა და ასევე, წიგნის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული წიგნებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს კიდევ აქვს ერთი, ასევე განსაკუთრებული მიზეზი - 2018 წელს საქართველო ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარსდგება. ესტაფეტას ის საფრანგეთისგან გადაიბარებს. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ უცხოური გამომცემლობები, ლიტერატურული აგენტები, კრიტიკოსები სულ უფრო და უფრო მეტად ინტერესდებიან იმ ქვეყნის ლიტერატურული ისტორიითა თუ აწმყოთი, რომელიც, სულ რაღაც, ერთ წელში ამ საპატიო ტიტულს ჩაიბარებს. თუკი ორიოდ სიტყვით ვიტყვით იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსს, მაშინ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ საერთაშორისო ბაზრობის პრეზიდენტ იურგენ ბოოსის სიტყვები, რომელიც მან 2014 წელს საქართველოში თქვა:

„ის, რასაც ჩვენ ვცდილობთ, რომ ფრანკფურტის ფესტივალის ფარგლებში მოვიცვათ, მხოლოდ რამდენიმე დღით არ შემოიფარგლება. მზადება იწყება რამდენიმე ხნით ადრე და ეს პროცესი თვეების მანძილზე გრძელდება. ჩვენ შევეცდებით, ვაჩვენოთ მსოფლიოს, რას ნიშნავს ქართული კულტურა, და მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ვერ განაცალკევებთ ქართულ ლიტერატურას მთლიანად ქართული კულტურისგან, ქართული მუსიკისგან, ფილმებისგან და ა.შ. ჩვენ ამ სფეროებს ერთად უნდა მოვუყაროთ თავი, რადგან მხოლოდ ასე შევძლებთ მსოფლიოსთვის საერთო სურათის ჩვენებას. ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ იმ ხუთი დღის მანძილზე, რა პერიოდშიც ფესტივალი მიმდინარეობს ხოლმე, ფრანკფურტს 10 000-მდე ჟურნალისტი სტუმრობს და 60-დან 70 %-მდე სტატიებისა, რომლებიც იმ პერიოდში იწერება, იწერება სტუმარი ქვეყნის შესახებ. სტუმარ ქვეყანას 100-მდე სხვა ქვეყანა ეცნობა. ქართული კულტურის შესახებ ინფორმაცია მთელ მსოფლიოში გავრცელდება“.

და თუკი დაშბრუნდებით 2016 წლის ფრანკფურტის ბაზრობასა და იმ მთავარ აქცენტებს, რომლებიც საქართველომ წლევანდელ ბაზრობაზე გამოკვეთა, მაშინ უნდა ითქვას, რომ წელს ფოკუსი გაკეთდა სწორედ იმ ბიზნესშეხვედრებზე, რომლებზეც დამოკიდებული იქნება უახლოეს მომავალში ქართველ ავტორთ ნაწარმოებების თარგმნა და უცხოეთში გამოცემა.

ის, რომ უცხოელ გამომცემლობებთან ურთიერთობა უკვე სხვა, გაცილებით აქტიურ ფაზაშია გადასული, ამას ადასტურებს ერთ-ერთი გერმანული გამომცემლობის, „პოპ ფერლაგის“ ხელმძღვანელის, ტრაიან პოპის ინტერვიუც, რომელიც მან ფრანკფურტში, რადიო „თავისუფლების“ მოლდავურ სამსახურს მისცა:

„რამდენიმე ხნის წინ ერთ პოეტს შევხვდი საქართველოდან. ჩემზე ახალგაზრდა დათო ბარბაქაძეს. მას ავსტრიაში რამდენჯერმე შევხვდი. ვიყიდე წიგნი, თარგმნილი გერმანულად და დათომ მიამბო თავისი კოლეგების, ცნობილი მწერლების შესახებ, ცოცხალი და გარდაცვლილი მწერლების შესახებ. 2018 წელს საქართველო ფრანკფურტში საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარსდგება. ახლა გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა უფრო ინტენსიური გახდეს და 2018 წელს ბაზარზე უფრო მეტი და მეტი ქართველი ავტორი გამოჩნდეს. ფაქტია, რომ მე ვარ გერმანელი გამომცემელი, რომელსაც ყველაზე მეტი ავტორი ჰყავს გამოცემული საქართველოდან“.

2016 წელს ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე ქართულმა გამომცემლობებმა უცხოურ გამომცემლობებს საკუთარი პროდუქტი, ანუ, ავტორები და წიგნები კატალოგების საშუალებით გააცნეს. 30 ავტორისგან შემდგარი კატალოგი შესთავაზა გამომცემლობებს წიგნის ეროვნულმა ცენტრმაც.

გვანცა ჯობავასთვის, წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარისა და ამასთანავე, გამომცემლობების „ინტელექტისა“ და „არტანუჯის“ საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერისათვის, წლევანდელი ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობა განსაკუთრებით დატვირთული გამოდგა. გვანცას თქმით, ფესტივალის დღეებში გამართულმა რამდენიმე ათეულმა შეხვედრამ, გასული წლებისგან განსხვავებით, ნაყოფიერად ჩაიარა:

„ვფიქრობ, რომ ძალიან რეალურია ის მოთხოვნები, რომლებიც შემოვიდა ამა თუ იმ ავტორზე, მაგრამ ჩვენ გვირჩევნია, რომ, როდესაც უკვე ყველაფერი გადაწყდება და ნამდვილად რეალური გახდება, შემდეგ გავახმოვანოთ. ჯერ კიდევ ბევრ უცხოელ გამომცემელს უნდა ქართველი ავტორის გამოცემა, მაგრამ უჭირს გადაწყვეტილების მიღება, რადგან ისინი ამბობენ, რომ ჩვენთვის განსაკუთრებული შემთხვევაა ის, რომ უნდა გამოვცეთ უცნობი ქვეყნის უცნობი ავტორი და ჩვენ გვინდა, რომ ჩვენს სიაში აღმოჩნდეს საუკეთესო თქვენი ქვეყნიდან. ამიტომ კითხულობენ ბევრს, გვთხოვენ, რომ გავუგზავნოთ ბევრი ავტორი, ეძებენ და ბევრი მათგანი ბოლო ეტაპზე მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი ავტორი იქნება მათ სიაში“.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა გასული საუკუნის შუა წლებიდან იღებს სათავეს. რამდენიმე წლიანი წყვეტის, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1949 წელს, ის ხელახლა გაიხსნა და გააგრძელა ომამდელი ტრადიცია. მაშინ, ბაზრობაში,დაახლოებით, 100 წიგნის გამომცემლობა იყო ჩართული. ახლა კი ბაზრობა 7 200-ზე მეტ გამომცემლობას, 100-ზე მეტ ქვეყანას აერთიანებს. ქართველი გამომცემლობები ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაში 90-იანი წლების მიწურულიდან მონაწილეობენ, თუმცა მასშტაბური ეროვნული სტენდით საქართველო ფრანკფურტის ბაზრობაზე 2008 წლიდანაა წარმოდგენილი.

წელს პირველად სტუმრობდა ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობას დრამატურგი დათო გაბუნია. მას იქ განსაკუთრებული მისია ჰქონდა. კონკრეტულად კი, უცხოელი გამომცემლებისთვის, კრიტიკოსებისა და ლიტერატურული აგენტებისთვის, მას 30 წუთში უნდა მოეთხრო რამდენიმე ქართველი მწერლის, კლასიკოსების, თანამედროვე მწერლების და მათი შემოქმედების შესახებ. დისკუსია არაფორმალურ რეჟიმში წარიმართა და მას ცნობილი გერმანელი გამომცემელი, ჟურნალისტი და ხელოვნებათმცოდნე ბარბარა ვაიდლე გაუძღვა. დათო აღწერს იმ გარემოს, რა გარემოშიც ქართველი გამომცემლობები წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე მუშაობენ:

„მათ ძალიან დატვირთული გრაფიკი ჰქონდათ. ისინი სულ სადღაც გარბოდნენ, სულ ვიღაცას ელოდნენ ქართულ სტენდთან და იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მერე გარკვეულ პრაქტიკულ შედეგს გამოიღებს და მხოლოდ მოლაპარაკების დონეზე არ დარჩება. მე, როგორც ვიცი, რამდენიმე ძალიან წარმატებულ პროექტს მოაწერეს ხელი და ვნახოთ, იმედია, ძალიან მალე ვნახავთ ბევრ ქართველ ავტორს სხვადასხვა ენებზე თარგმნილს“.

რუმინეთის ეროვნულ სტენდზე ქართველი, გერმანელი და რუმინელი ავტორების ინტერნაციონალური კითხვა მოეწყო-ქართველმა პოეტმა ირმა შიოლაშვილმა "პოპ" ფერლაგის მიერ გამოცემული ქართველი ავტორების გერმანულენოვანი გამოცემები წარადგინა. სწორედ მას ვთხოვეთ კომენტარი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის მნიშვნელობაზე:

ირმა შიოლაშვილი: **„თავისთავად დიდი მოვლენაა ის ფაქტი, რომ 2018 წელს საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მასპინძელ ქვეყანად იქნება წარმოდგენილი. წლევანდელ ბერლინის ლიტერატურული ფესტივალზე ქართველი ავტორების ასე გამორჩეულად წარდგენა 2018 წლისკენ გადადგმული პირველი დიდი ნაბიჯია. აღსანიშნავია, რომ ფესტივალს ნინო ხარატიშვილი და ლაშა ბუღაძე გახსნიან. ლაშას პიესა „ლიტერატურული ექსპრესი“ სწორედ ნინო ხარატიშვილის მიერ იქნა გერმანულ ენაზე ნათარგმნი. ნინო ხარატიშვილი ის უნიჭიერესი ქართველი გოგოა, რომელიც 31 წლის ასაკში გერმანელმა ლიტერატურათმცოდნეებმა მარკესს და ტოლსტოის შეადარეს. თავად ნინოს არსებობა დიდი გამართლებაა ქართული კულტურული სივრცისთვის“.**

რა მთავარი გზავნილითა და კონცეფციით წარსდგება საქართველო 2018 წელს წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე ფრანკფურტში, ამის შესახებ პროექტის ხელმძღვანელი დეა მეტრეველი წინასწარ არ საუბრობს. თუმცა, მისი თქმით, 2017 წლის შემოდგომაზე საქართველოში გაიმართება პირველი პრესკონფერენცია, სადაც ისინი ისაუბრებენ იმ გეგმებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებსაც საქართველო, როგორც საპატიო სტუმარი ქვეყანა, შესთავაზებს ფრანკფურტს.

ინგა შიოლაშვილი

ბერლინის ლიტერატურის ფესტივალზე, Stadt Land Buch 2016 საქართველო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარსდგა

მიმდინარე წლის 13-20 ნოემბერს ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი გერმანიის გამომცემელთა და წიგნის გამავრცელებელთა ასოციაციასთან (ბერლინი-ბრანდენბურგი) და ლიტერატურულ სააგენტოსთან Antas Bindermann Listau GbR თანამშრომლობით, ბერლინის ფესტივალისთვის დაგეგმილ სპეციალურ ქართულ პროგრამაში 11 თანამედროვე ავტორსა და ხელოვანს წარადგენს.

ფესტივალის გახსნის ცერემონიალზე ნინო ხარატიშვილი რომანით „მერვე სიცოცხლე (ბრილკასთვის)“ და ლაშა ბუღაძე „ლიტერატურულ ექსპრესით“ წარდგებიან; დებიუტანტის სალონში ბექა ადამაშვილი „ბესტსელერით“, წიგნი და კინოს ფორმატში კი ნანა ექვთიმიშვილი რომანით „მსხლების მონდორი“ და ფილმით „გრძელი ნათელი დღეები (In Bloom)“ მონაწილეობს. ტორესა მოსის ბენდის ცოცხალი მუსიკის აკომპანიმენტით გაიმართება ლია სტურუასა და რატი ამაღლობელის პოეზიის და თავად ტორესა მოსის პროზის საღამო. ლიტერატურულ ღონისძიებას მუსიკალურად ტორესა მოსისთან ერთად ანრი ლომია და დავით ადამაშვილი გააფორმებენ. ქართული პროგრამის ბოლოს გაიმართება კოტე ჯანდიერის „გლობალიზაციის“ კითხვა და დიანა ანფიმიადის „პირადი კულინარიის“ წარდგენა, რომელიც კულინარიული შოუთი დასრულდება. ტექსტებს მხატვრულად ნათია მიქელაძე-ბახსოლიანი და იუნონა გურული წაიკითხავენ.

ქართული პროგრამა ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის, გერმანიის გამომცემელთა და წიგნის გამავრცელებელთა ასოციაციის (ბერლინი-ბრანდენბურგი) და ლიტერატურული სააგენტოს Antas Bindermann Listau GbR ორგანიზებით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, გამომცემლობების - „პალიტრა L“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა” და გერმანიაში ქართული ღვინის ინტერნეტ-მაღაზიის „ქართული პროდუქტი“ მხარდაჭერით ხორციელდება.

ბერლინის ლიტერატურული ფესტივალის ფარგლებში ერთი კვირის განმავლობაში 150 ლიტერატურული და კულტურული ღონისძიება გაიმართება.

2016 წლის ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობიდან საქართველო, ქართველი გამომცემლობები რამდენიმე დღის წინ, შეიძლება ითქვას, რომ ნაყოფიერი შედეგებით დაბრუნდნენ. ქართული წიგნის ეროვნული ცენტრისა და წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით დაგეგმილი ღონისძიებები და ეროვნული სტენდი კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია 2018 წლისკენ, როდესაც საქართველო ფრანკფურტში საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით წარსდგება.

ნიუ-იორკში ქვევრის ღვინისა და ქართული ღვინის კულტურის შესახებ წიგნის პრეზენტაცია გაიმართა

აშშ-ს ქალაქ ნიუ-იორკში გამართულ ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაზე (RAW WINE) ქვევრის ღვინო იყო წარმოდგენილი.

გამოფენის ფარგლებში ცნობილი ამერიკელი ღვინის მწერლის, ელის ფეირინგის ქართული ღვინის კულტურაზე დაწერილი წიგნის „ღვინის სიყვარულისთვის: მოგზაურობა მსოფლიოს უძველეს ღვინის კულტურაში "პრეზენტაციაც გაიმართა. ორდღიან გამოფენას, რომლის ორგანიზატორიც ცნობილი ღვინის ექსპერტი, ღვინის მაგისტრი იზაბელ ლეჟერონია (საფრანგეთი), ათასობით ღვინის პროფესიონალი, მოყვარული, რესტორნებისა და სავაჭრო ქსელების წარმომადგენლები დაესწრნენ, რაც ქართული ღვინის მწარმოებლებს ახალი იმპორტიორებისა და პარტნიორების მოძიების შესაძლებლობას აძლევს. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქვევრის ღვინის მწარმოებელი 6 კომპანია: „გოცას ღვინოები",„მეღვინეობა ნიკა", „ხოხბის ცრემლები", „ჩვენი ღვინო", "ორგო" და „ამირან ვეფხვაძის ღვინო"როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა ელენე კიკნაძემ აღნიშნა,ამერიკის შეერთებული შტატები ქართული ღვინის პოტენციურად მზარდი საექსპორტო ბაზარია, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, აქტიურ მარკეტინგულ ღონისძიებებს ახორციელებს და გეგმავს მომავალშიც.

„ამერიკის შეერთებული შტატები ქართული ღვინის ექსპორტის ერთ-ერთი პრიორიტეტული ბაზარია, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, ტარდება მრავალი მარკეტინგული აქტივობა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 6 ქვევრის ღვინის მწარმოებელი კომპანია. ქართულ სტენდს უამრავი ღვინის პროფესიონალი და მოყვარული ესტუმრა, რაც ქართული ღვინის მწარმოებლებს შესაძლებლობას მისცემს მოიძიონ ახალი იმპორტიორები" - აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა ელენე კიკნაძემ. ელის ფეირინგის (Alice Feiring) წიგნის „ღვინის სიყვარულისთვის: მოგზაურობა მსოფლიოს უძველესი ღვინის კულტურაში" (My Odyssey through the World's MostAncient Wine Culture') პრეზენტაციამ ღვინის პროფესიონალების დიდი ინტერესი დაიმსახურა. მიმდინარე წლის ზაფხულში ჟურნალ New York Times -ში გამოქვეყნდა ფრაგმენტები აღნიშნული წიგნიდან. ავტორი თავის გამოცემაში აღნიშნავს, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა და მაღალი ხარისხის "ქარვისფერი" ღვინის შემქმნელი, რომელიც დამსახურებულად ამაყობს 8 ათასწლიანი რთველის ისტორიით. წიგნის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ალის ფეირინგმა მონაწილეების შეკითხვებს უპასუხა.

„მოველოდი, რომ ბევრი კითხვა ექნებოდათ აქაურებს და ასევე მოწვეულ სტუმრებს.მაგალითად იაპონელებს, რომლებიც აქ ღვინის კულტურის გასაცნობად ჩამოვიდნენ,თუმცა ყველაზე საინტერესო კითხვა იყო, თუ რას ვფიქრობდი ქართული ღვინის შესახებ. ქართულ ღვინოში დიდი სულიერებაა, მე ვფიქრობ ღვინო ქართველების სიამაყეა,ქართველებს დიდი რწმენა აქვთ, უფლის რწმენა, ყურძნის რწმენა, ღვინის რწმენა და რწმენა იმისა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ქართული ღვინო ქართული სულის გამოძახილია. ძალიან მესიამოვნა, რომ ეს კითხვა დამისვეს და მომეცა შესაძლებლობა მესაუბრა ქართულ ღვინოზე" - აღნიშნა ფეირინგმა., რომელიც საქართველოს მიმდინარეწლის გაზაფხულზე სტუმრობდა.გამოფენა RAW WINE-ს სხვადასხვა ქვეყნიდან ასზე მეტი ღვინის მწარმოებელი დარამდენიმე ათასი სტუმარი დაესწრო. აღნიშნული გამოფენა ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ, სადაც ბუნებრივი, მაღალი ხარისხის და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან. მიმდინარე წლის 10 თვის მონაცემებით საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულია 235 ათასამდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 12%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ახალი რეგულაციები რძის მწარმოებელთათვის

დედოფლისწყაროელმა მეწარმემ ბესიკ თოფჩიშვილმა, რომელსაც რძის გადამამუშავებელი საწარმო აქვს, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) დანერგვით სურსათის ეროვნული სააგენტოსგან უვადო აღიარება მოიპოვა.

მეწარმე ამბობს, რომ გადავიდა ახალ საწარმოო სისტემაზე, რაც მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას ხარისხიანს და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოს გახდის. ახალი სისტემა ქვეყანაში რამდენიმე თვეა მოქმედებს. საწარმოები ცდილობენ, გაუმჯობესონ და მათი პირობები თანამედროვე მეთოდებს მიუსადაგონ.

გაზეთი „შირაქი" დაინტერესდა, რას ნიშნავს საწარმოების ახალ სისტემაზე გადასვლა, რას გულისხმობს კონტროლის ახალი რეგულაციები და რა ვითარებაა დედოფლისწყაროს საწარმოებში. ამ კითხვებით სურსათის სააგენტოს მივმართეთ.

დემნა ხელაია (სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსი): **„რეგულაციების ამოქმედება რამდენიმეჯერ გადაიდო, თუმცა საბოლოოდ 2016 იანვრიდან ძალაშია. ეს ეხება მაღალი რისკის საწარმოებს, როგორიცაა საქონლის სასაკლაო და რძის გადამამუშავებელი საწარმოები და მათი პირობები. არსებობს ორი კატეგორიის აღიარება. პირობითი აღიარება და უვადო აღიარება. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, პირობითი აღიარება გაიცემა 6 თვით. ეს გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა სანარმოს აკლია გარკვეული პირობები, მაგრამ შენიშვნები არაკრიტიკული და გამოსწორებადია. ამ ვადაში საწარმოს სამუშაო და სანიტარული პირობების გაუმჯობესება ევალება და შემდეგი გადამოწმების შემთხვევაში შესაძლებელია, უვადო აღიარება მიიღოს.**

რაც შეეხება თქვენს კითხვას, კახეთის რეგიონში ამ კუთხით არსებულ ზოგად სურათს, არცერთი საწარმო არ მუშაობს შესაბამისი კონტროლის გარეშე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასაკლაოების აბსოლუტურ უმრავლესობას, ასევე რძის გადამამუშავებელ საწარმოებს მიღებული აქვთ აღიარება და ზოგიც მზადების ეტაპზეა, რომ აბსოლუტური აღიარება მიიღონ. კახეთში ნორმალური სიტუაციაა.

ამ ეტაპზე სურსათის სააგენტო იკვლევს ვეტ პრეპარატების ნარჩენ რაოდენობას და ვამუშავებთ პროგრამას. მოგეხსენებათ, თუ ანტიბიოტიკები მისცეს პირუტყვს, მაგალითად ლევომიცეტინი, რისი ფაქტებიც არის ხოლმე, ეს რძეზე აისახება და გარკვეული პერიოდის განმავლობაში კვალს ტოვებს. ამ საკითხს ვსწავლობთ, რადგან თუ ეს არ მოგვარდა, ევროპის ქვეყნებში ჩვენი პროდუქტების გატანის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. ასეთი შემთხვევა დედოფლისწყაროში მდებარე საწარმოებში არ ყოფილა, რაც მისასალმებელია," - აღნიშნავს სურსათის დეპარტამენტის უფროსი.

დედოფლისწყაროში ბესიკ თოფჩიშვილმა რძის პროდუქტების დამზადება და თავადვე რეალიზაცია წლების წინ, რამდენიმე ძროხით დაიწყო. თავდაპირველად ის რძეს ადგილობრივ ბაზარზე ყიდდა და მას შემდეგ, რაც მწარმოებლებისგან რეალიზებული პროდუქციის თანხის აღების პრობლემა შეექმნა, საკუთარი საწარმო გახსნა და წარმოებულ პროდუქციას „დედოფლისწყაროს ნობათი" დაარქვა. ფერმერი მიუთითებს, რომ პირველ ეტაპზე ფინანსური პრობლემები ჰქონდა, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაცია HEKS-EPER-ის პროექტის „MOLI კახეთში" მხარდაჭერით ფინანსური და ტექნიკური პრობლემების მოგვარება მოახერხა და დანერგა სისტემა HACCP, რომელიც სურსათით გამოწვეული საფრთხეების დადგენასა და მათ პრევენციას ემსახურება.

პროექტი „MOLI კახეთში" უკვე მეხუთე წელია ხორციელდება რეგიონში მეცხოველეობის განვითარების კუთხით, შვეიცარიის მთავრობის მხარდაჭერით. პროექტის მიზანია მცირე ფერმერულ მეურნეობებს გაეზარდოთ შემოსავალი და განავითარონ ცხოვრების დონე, გაუმჯობესებული პროდუქციის, მომსახურების, ინფორმაციის, ბაზრის წვდომის და საარსებო გარემოს საშუალებით.

– „რძის გადამამუშავებელი საწარმოს გახსნა რომ გადავწყვიტე, პირველ რიგში ავაშენე სათანადო შენობა და შევიძინე დანადგარები. მალევე შემექმნა ფინანსური პრობლემები. მაშინ ჩემთან თანამშრომლობის და დახმარების სურვილი გამოთქვა პროექტმა „MOLI კახეთში". მისი წარმომადგენლები დაგვეხმარნენ მომსახურე პერსონალის გადამზადებაში, ჩაგვიტარეს საჭირო ტრენინგები და გაგვიწიეს ფინანსური დახმარება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შევძელით თანადაფინანსებით ტექნიკის ყიდვა. შევიძინეთ რძის ვანები, მაგიდები, მაცივარი, პასტერიზატორი, სადისტრიბუციო მანქანა, ლაქტოსკანი რძის გასასინჯად და სხვა საჭირო ტექნიკა, რომელიც აუცილებელია ხარისხიანი და უვნებელი პროდუქციის წარმოებისთვის. მას შემდეგ რაც ახალი სტანდარტები დავნერგეთ წარმოებაში, თანამედროვე დანადგარები შევიძინეთ და HACCP-ის სტანდარტები დავაკმაყოფილეთ, ჩვენს პროდუქციაზე მოთხოვნა საგრძნობლად გაიზარდა. უფრო მეტი სუპერმარკეტიდან და მაღაზიიდან გვირეკავენ და ჩვენი პროდუქციის მათთან შეტანას გვთხოვენ. ამიტომაც, დამატებითი ძალისხმევა და ხარჯები გამართლებული აღმოჩნდა", —ამბობს ბესიკ თოფჩიშვილი.

დედოფლისწყაროს რძის გადამამუშავებელ საწარმოში ფერმერებიდან მიღებული რძის მკაცრი ფიზიკური და ქიმიური კონტროლი მიმდინარეობს. როგორც საწარმოს ტექნოლოგი გულიკო მჭედლიძე აღნიშნავს, რძის პროდუქტების კონტროლი მიზნად ისახავს ხარისხიანი და უვნებელი პროდუქციის წარმოებას. მჭედლიძე, ასევე, სხვა სოფლებსა და მუნიციპალიტეტებში მსგავსი საწარმოების გახსნის და ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობაზე საუბრობს. საწარმოს ტექნოლოგი ფიქრობს, რომ ეს ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.

„ჩვენს საწარმოში ფერმებიდან მიღებული რძის ძალიან მკაცრი კონტროლი მიმდინარეობს. რძეს უკეთდება პასტერიზება, რაც საშუალებას გვაძლევს, ვაწარმოოთ უვნებელი და უსაფთხო პროდუქტი, რომელიც დღევანდელი სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ვაწარმოებთ სულგუნს, ნადუღს, კარაქს და რაც ყველაზე მთავარია, დასაქმებული გვყავს ადგილობრივი კადრები. ის რომ სოფელში არსებობს ასეთი საწარმო, ეს მნიშვნელოვნად ეხმარება მოსახლეობასაც და ჩვენც, რომ ვაწარმოოთ ადგილობრივ ნედლეულზე დამზადებული მაღალი ხარისხის პროდუქტი",- აცხადებს გულიკო მჭედლიძე.

რძის გადამამუშავებელი საწარმოს ხელმძღვანელი კი ამჯერად პროდუქციის რეალიზების კუთხით დღეისთვის არსებულ პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას. ბესიკ თოფჩიშვილი ირწმუნება, რომ სურსათის უვნებლობის მოთხოვნები მხოლოდ დარეგისტრირებულ მწარმოებლებზე ვრცელდება და არ კონტროლდება ქუჩაში გამოტანილი პროდუქტის ხარისხი, რაც ნაწარმის გაყიდვას გარკვეულ ბარიერებს უქმნის. მისი განმარტებით, ქუჩაში გაყიდული პროდუქცია, რომელიც სურსათის უვნებლობის სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, გაცილებით იაფია და შესაბამისად არარეგისტრირებულ მეწარმეებს ნაწარმის რეალიზაციაში კონკურენციას ვერ უწევს.

„პროექტის „MOLI კახეთში" დახმარებით შევძელით და მივაღწიეთ განვითარების გარკვეულ დონეს, მივიღეთ სურსათის უვნებლობის მხრივ უვადო აღიარება. მე ვიცი, რომ ეს საკმარისი არ არის და ბევრი რამ გვაქვს კიდევ გასაკეთებელი. ყველაზე დიდი პრობლემა არის, რომ სურსათის უსაფრთხოების მოთხოვნები ყველაზე თანაბრად არ ვრცელდება. ქალაქშიც და სოფლებშიც გზებზე იყიდება პროდუქტები, რომელიც ყოველგვარ კონტროლს და რეგულაციას მოკლებულია. ეს გვიქმნის პრობლემას იმაში, რომ ჩვენი პროდუქცია აღარ იყიდება, რადგან ქუჩაში გამოტანილი პროდუქცია გაცილებით იაფია. სურსათის უვნებლობის სამსახური რატომღაც არ აქცევს ყურადღებას ბაზრების მიმდებარე ტერიტორიებზე ვაჭრობას, რაც ძალიან ცუდია. ჩემი აზრით, ყველა პროდუქტმა უნდა დააკმაყოფილოს სურსათის უვნებლობის მოთხოვნები. რაც შეეხება HACCP—ის დანერგვას წარმოებაში, მიმაჩნია, რომ ეს აუცილებელია და სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. ეს ძალიან ადვილი პროცესი არ არის. თუ სახელმწიფო არ დაეხმარება რძის საწარმოებს, რომ გადავიდნენ ნამდვილად უვნებელი სურსათის წარმოებაზე, ბევრ მწარმოებელს გაუჭირდება მუშაობა. მეც ასეთ სიტუაციაში ვარ. 5 წელია, ვცდილობ სტანდარტები გავაუმჯობესო და იმდენი საკითხია, ბოლომდე მაინც ვერ გავედი. თუ სახელმწიფომ რაიმე სახის დახმარება არ გაგვიწია, არაფერი გამოვა",- ამბობს ბესიკ თოფჩიშვილი.

ფერმერების პრეტენზიები გაზეთმა „შირაქმა" სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაბამის დეპარტამენტს გააცნო. სააგენტოში პრობლემის სიმწვავეს ადასტურებენ და ამბობენ, რომ ოჯახური წარმოება სრულიად უკონტროლოა. სურსათის დეპარტამენტის უფროსის დემნა ხელაიას განმარტებით, ოჯახური წარმოება აქილევსის ქუსლად იქცა და მისი დარეგულირება ამ დრომდე ვერ მოხერხდა

„მეწარმეების პრეტენზიები სახელმწიფოს მხრიდან გამოჩენილი თანადგომისა და გარე ვაჭრობისა, თუ ოჯახური წარმოების გაკონტროლებასთან დაკავშირებით, ჩვენთვის უცხო არ არის. ამას ყოველ ნაბიჯზე ვისმენთ. ცხადია, ჩვენ ვიცნობთ ამ პრობლემას, მაგრამ ამ პრეტენზიებს კანონმა უნდა გასცეს პასუხი. ამ შემთხვევაში სურსათის ეროვნული სააგენტო უძლურია და არ აქვს ბერკეტი, რომ შესაბამისი რეგულაციების გარეშე ეს პრობლემა გადაჭრას. ოჯახური წარმოება ჩვენი მხრიდან ხელშეუხებელია, ვერ ვახერხებთ ამ წარმოების კონტროლს. გასაგებია, რომ ეს სოფლად მცხოვრები ოჯახებისთვის ხშირად ძირითადი შემოსავალია და ერთადერთ საარსებო წყაროს წარმოადგენს, თუმცა, დამეთანხმებით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ოჯახური წარმოების რძის პროდუქტებიც ჯანმრთელობისთვის უვნებელი იყოს და აუცილებლად დაიცვან სანიტარული ნორმები. იმედი მაქვს, ახლადდამტკიცებული პარლამენტი და ჩვენი კანონმდებლები მალე დაარეგულირებენ ამ მნიშვნელოვან საკითხს, რათა ვითარება კონტროლის ჩარჩოებში მოექცეს. აუცილებელია დარეგულირება, რადგან სურსათის უკონტროლო რეალიზება სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, მითუმეტეს, რომ რძის პროდუქტები სურსათის სხვა სახეობებთან შედარებით განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს," - აღნიშნავს ხელაია.

ილია მარტყოფლიშვილი

23 ნოემბერი - წმიდა გიორგის ბორბალზე წამების დღე

წმიდა გიორგი საქართველოს მეოხი და მფარველი წმინდანია. ისტორიიდან ცნობილია, თუ როგორ იბრძოდა წმიდა გიორგი ხილულად ქართველთა ლაშქარში დიდგორისა და ბახტრიონის ბრძოლებში. საქართველოს ბევრ ევროპულ ქვეყანაში წმიდა გიორგის სახელის მიხედვით „გეორგიას“ ეძახიან და საქართველოში ეკლესიების უმეტესი ნაწილი წმიდა გიორგის სახელზეა აგებული. საქართველოში წელიწადის ყოველ დღეს იზეიმებოდა გიორგობა, რომელიც წმიდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ხატთან ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულებთან იყო დაკავშირებული. ხალხურ მეტყველებაში შემორჩენილია 365 წმიდა გიორგის სახელით დალოცვა, რომელიც წმიდა გიორგის წელიწადის ყოველდღიურ დღესასწაულთან არის დაკავშირებული.

23 ნოემბერს აღინიშნება წმიდანის ბორბალზე წამების დღე, რომელიც, გადმოცემით, წმიდა ნინოს დაუდგენია დღესასწაულად. ცნობილია, რომ წმიდა ნინო ნათესავი იყო წმიდა გიორგისა, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მას და თავის მოქცეულ ქვეყანასაც უანდერძა დიდმონამის სიყვარული.

ცნობილია წმიდა გიორგის ბორბალზე წამების საოცარი ისტორია: როდესაც პირველ დღეს ნაწამები წმიდა გიორგი მეორე დღეს ისევ წარუდგინეს იმპერატორ დიოკლეტიანეს, წმინდანმა მას მუქარის საპასუხოდ მიუგო: „უმალ შენ მოუძლურდები ჩემი ტანჯვით, ვიდრე მე, შენს მიერ გვემული“. განრისხებულმა იმპერატორმა ბრძანა, ყველაზე მძიმე სატანჯველით ეწამებინათ იგი. დიდმოწამე მბრუნავ ბორბალზე დააკრეს, რომლის ქვეშაც წვერბასრი რკინის მახვილებიანი ძელები დაედოთ. სხეულდასერილმა წმიდანმა ჯერ ხმამაღლა აღუვლინა ლოცვა უფალს, შემდეგ კი დადუმება არჩია. დიოკლეტიანემ იფიქრა, უკვე აღესრულაო, უბრძანა ჩამოეხსნათ სხეული ბორბლიდან. თვითონ კი აპოლონის ბომონს მიაშურა სამადლობელი მსხვერპლის შესაწირად.

მოულოდნელად სრულიად ჩამობნელდა, ჭექა-ქუხილმა შეაზანზარა ქვეყანა, ცოტა ხნის შემდეგ მაღლიდან მოისმა ხმა: „ნუ გეშინინ, გიორგი, მე შენთანა ვარ!“ ბორბალთან უჩვეული ნათლით მოსილი ჭაბუკი გამოჩნდა, ხელი შეახო მოწამეს, უთხრა: „გიხაროდენ!“ და გაუჩინარდა, წმიდა გიორგი სრულიად უვნებელი წამოდგა ბორბლიდან და თაყვანი სცა ჭეშმარიტ ღმერთს.

წმინდა გიორგის სასწაულების რიცხვი უამრავია. მათგან ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივია:

ქალაქ ლასიაში მეფობდა ქრისტიანების მიმართ შეუბრალებელი, კერპთმსახური სელინოსი. ქალაქის მახლობლად მდებარე ტბაში გამოჩნდა ბოროტი ვეშაპი, იგი ყოველდღე ამოდიოდა წყლიდან და მუსრს ავლებდა მოსახლეობას. მისი მოკვლა ვერავინ შეძლო. დამფრთხალმა მეფემ ქალაქის მცხოვრებლებს უბრძანა, თავიანთი შვილები რიგ-რიგობით მიეცათ მხეცისთვის შესაწირად და როდესაც ჯერი მასზე მიდგებოდა, ისიც შესწირავდა თავის ერთადერთ ასულს. ასეც მოხდა: ყველა მოსახლემ გაიმეტა თითო შვილი და მეფის ასულის ჯერიც დადგა. შეწუხებულმა მამამ ხალხს უამრავი სიმდიდრე შესთავაზა ოღონდ კი ვინმეს აერიდებინა მისი ქალიშვილისთვის ეს მძიმე ხვედრი, მაგრამ ამაოდ, ხალხი მას არ უთანაგრძნობდა. მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ქალი ტბიდან ვეშაპის გამოსვლას ელოდა, გზად წმინდა

გიორგიმ გაიარა, დაინახა თვალცრემლიანი ქალიშვილი და ტირილის მიზეზი ჰკითხა. ქალმა სთხოვა სწრაფად გასცლოდა ამ საშიშ ადგილს, მაგრამ წმინდა გიორგიმ მტკიცედ განუცხადა, რომ იგი მაინც არ მიატოვებდა, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. მაშინ ქალმა მოუთხრო თავისი გასაჭირის შესახებ. წმინდა გიორგიმ დაამშვიდა იგი და უთხრა, რომ ჭეშმარიტი ღმერთის სახელით იხსნიდა მას. მან მაცხოვრის მიმართ აღავლინა ლოცვა, რათა მხეცის დამარცხებაში დახმარებოდა. მალე ვეშაპიც გამოჩნდა, წმინდა გიორგიმ გამოსახა მასზე ჯვარი და შეევედრა უფალს: “უფალო ღმერთო, გადააქციე ეს მხეცი ჩემს მორჩილად”. სულიწმინდის შეწევნითა და მისი ლოცვით ბოროტი ვეშაპი წმინდანის ფეხებთან დაეცა. წმინდა გიორგიმ ქალს უბრძანა, შემოეხსნა სარტყელი, ყელზე მოება მხეცისთვის და წაყვანა ქალაქში. ამ სანახაობით დამფრთხალი მოქალაქენი წმინდანმა დაამშვიდა: “ინამეთ უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ყოვლად ძლიერი ჭეშმარიტი ღმერთი და მე მოვკლავ ამ ვეშაპს”. მეფემ და მისმა ქვეშევრდომებმა შეჰღაღადეს: “გვწამს მამა, ძე და სული წმინდა”. წმინდა გიორგიმ იშიშვლა მახვილი, მოკლა გველეშაპი და ქალიშვილი მამას დაუბრუნა. ხალხი დაემხო წმინდანის წინაშე და ჭეშმარიტი ღმერთი განადიდა.

სწორედ ამ სასწაულის აღსანიშნავად გამოსახავენ ხატებზე წმინდა გიორგის ცხენზე მჯდომარეს შუბით ხელში, რომლითაც მხეცს კლავს. მხეცის განმგმირავი წმინდა გიორგის სახე არის ქრისტიანობის ბოროტებასა და ცოდვაზე გამარჯვების სიმბოლო, ხოლო ხატი, რომელზეც იგი დიოკლეტიანეს კლავს, არის სიმბოლო ეკლესიის გამარჯვებისა მის ხილულ მტრებზე, მათზე, ვინც ქრისტიანობას ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა და ცდილობდა ჯალათის ხელით ადამიანთა გულებიდან ამოეგლიჯა ქრისტეს სახელი.

წმინდა გიორგის თაყვანისცემა საქართველოში მე-4 საუკუნის დასაწყისში იწყება. ძველი დროიდანვე საქართველოს, წმინდა გიორგის ქვეყანას, გეორგიას უწოდებენ. წმინდა არსენ იყალთოელის მოწმობით, წმინდა ნინო - საქართველოს განმანათლებელი, დიდმოწამის ბიძაშვილი იყო და ქართველმა ერმა მისგან შეიტყო წმინდა გიორგის მოწამეობის შესახებ. საქართველოში უამრავი ლეგენდა არსებობს იმის შესახებ, როგორ შეეწეოდა ხოლმე წმინდა გიორგი ქართველთა ლაშქარს მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში, მათ შორის დიდგორის ბრძოლაშიც.

მონატრება

მიშიკო ბიკაშვილი

ნოემბერი ძალიან მძიმე თვეა ჩვენი ოჯახისთვის. ნაღვლიანი შემოდგომის ამ თვეს ნაადრევად დასრულდა შენი სიცოცხლე, რომელიც ვერაგულად მოგისწრაფეს. დრო ვერ კურნავს იმ ტკივილს, რაც შენმა უდროო სიკვდილმა მოგვაყენა.

27 ნოემბერი შენი დაბადების დღეა. 36 წლის გახდებოდი. სრულიად ახალგაზრდამ, სიცოცხლით გაუმაძღარმა დატოვე ეს წუთისოფელი და გადასახლდი იმქვეყნიურ სამყოფელში. დატოვე გამწარებული მშობლები, ძმა, მეუღლე და ერთი შვილი. მანანა უკვე დიდი გოგონაა, ძალიან ენატრება და სჭირდება მამა... მაგრამ ამ დანაკლისს მას ვერავინ უვსებს.

შენს დაბადების დღეზე მოვალთ შენს საფლავზე, ყვავილებით და სანთლებით მოგილოცავთ შენს იმქვეყნიურ სამყოფელში და ღმერთს შევავედრებთ შენს ლამაზ სულს. უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი, ჩვენო მარად ახალგაზრდა ბიჭო!

შენი ოჯახი

ილიკო შარვაძე



ოთხი წელი გავიდა იმ უბედური და ავადმოსაგონარი 21 ნოემბრის სუსხიანი საღამოდან, რომელმაც თავდაყირა დააყენა ჩემთვის მთელი სამყარო, დღე, როცა მეხის გავარდნასავით გაისმა შენი ამქვეყნიდან მოულოდნელი წასვლის ამბავი 38 წლის ასაკში, ჩემო ილიკო.

შენმა უდროოდ წასვლამ დედას თავზარი დასცა და მიწასთან გაასწორა. უხმაუროდ, მაგრამ დარდიანი წახვედი ამ ქვეყნიდან, ისე, რომ ერთხელაც არ დაგიჩივლია, მაგრამ რად უნდოდა შენს დედას რაიმეს თქმა, უთქმელადაც, ხმითაც კი ვგრძნობდი შენს სულიერ განწყობას და გულისტკივილს. რამდენი ოცნება დაგრჩა აუხდენელი, ჩემო უიღბლო ბიჭო. ჩვენ ხომ უდიდეს დარდს ვატარებდით მამაშენის უდროოდ დაღუპვის გამო,ნუთუ ეს არ იყო საკმარისი, ისიც ხომ სულ ახალგაზრდა გამოგვეცალა ხელიდან, ალბათ ეს იყო თქვენი, ორივეს ბედისწერა. ერთ დროს ბედნიერ ოჯახში სევდამ, ცრემლმა და სიცარიელემ დაისადგურა. ერთი ამოსუნთქვით დამთავრდა შენი ლამაზი სიცოცხლე. სიკეთისთვის, სიყვარულისთვის იყავი მოსული ამქვეყნად, ამიტომაც დატოვე დაუვიწყარი სახელი შენს მეგობრებსა და ახლობლებში. ყველას აკლიხარ და ენატრები, მაგრამ გაუსაძლისია უშენობა შენი უბედური დედისთვის, ჩემო ერთადერთო სანთელო. უშენოდ საძირკველი გამოეცალა ჩემს ოჯახს, დავკარგე ძლიერი საყრდენი, დავრჩი ცასა და მიწას შორის გამოკიდებული საყვარელი შვილის გარეშე. როგორ მინდა, მოგეფერო, გულში ჩაგიკრა

და გითხრა: „სად ხარ აქამდე, ჩემო ფორიაქა და მოუსვენარო ბიჭო“, არ გეცოდება დედაშენი, რომელსაც გაგიჟებით და არანორმალურად უყვარდი, შვილო.

ჩემთვის და შენთვის გაჩერდა დრო. დედას შვილი აღარა ჰყავს და შვილს დედა, ორივეს სიხარული დამთავრდა, მხოლოდ განსხვავება ის არის , რომ მე სატანჯველად დავრჩი, შენ კი აღარაფერს აღარ გრძნობ.

ვერანაირი დრო ვერ შეცვლის ჩვენს დედაშვილობას, მაგრამ ვაი, ასეთ შენს დედას და უდროოდ ჩვენს დაშორებას. მე უნდა გაგეცილებინე და არა შენ, ჩემო ბიჭო. უსასრულო ნისლში ჩაიძირა ჩემი სიცოცხლე, ირგვლივ ვერაფერს ხედავს შენი უბედური დედა, მხოლოდ შენი ღიმილი და შენი სახე მიდგას თვალწინ. ულმობელია წუთისოფელი, რაც წავიდა , უკან აღარასოდეს დაბრუნდება. მოვალ, გაგესაუბრები, დაგისვამ შენთვის ნაცნობ კითხვებს, შენ კი თავს ჩაღუნავ და გაგიჭირდება ჩემს კითხვებზე პასუხის გაცემა, რადგან გვიან მიხვდი დედის რჩევა-დარიგების ფასს, მაგრამ შენი თვალები ყველაფერს მეტყვის და მაგრძნობინებს უსიტყვოდაც. შენ აღარასოდეს დაბრუნდები და არ შემოაღებ შენი სახლის კარს და ვეღარ გავიგონებ ჩემთვის მონატრებულ სიტყვებს „ დე, სადა ხარ!’

არ არსებობს სიტყვა და საქმე, რომელიც შვილის ტკივილს დაუყუჩებს დედას. ნათელში იყავი შენს მშობელ მამასთან, ბებიებთან, პაპებთან და ყველა ახლობელთან ერთად. შენ ხომ ორი პაპის მოსახელე იყავი და შვილსაც შენი სახელი დაარქვი, შენი სახელის და გვარის გამგრძელებლად, ნუთუ გული წინასწარ რაიმეს გიგრძნიბდა, შვილო.

მე შენს მოსაგონარს უნდა გწერდე? სად არის სამართალი, ნუთუ ასეთი მსხვერპლი საჭირო იყო, ღმერთო.

ქვაში გაცოცხლებულ შენი და მამაშენის სურათებთან ჩაიწვება მრავალი სანთელი და შეისმება თქვენი მოსაგონარი. ერთ დღეს კი ჩემთვისაც გაიღება სასუფევლის კარი და სამუდამოდ, როგორც ადრე, ერთად ვიქნებით და მანდ გავაგრძელებთ ცხოვრებას, ჩემი საყვარელი ოჯახი.

რეალობას ვერსად გავექცევი, მინდა თუ არ მინდა, ცხოვრების ბოლომდე ამ ტკივილით უნდა ვიარო.

ჩემი ჯვარი მძიმეა, შვილმკვდარი დედის ჯვარი, მენატრები, უსაშველოდ მენატრები და როცა ეს ნატვრა დასრულდება, შენთან მოვიტან დატანჯულ გულს და სამუდამოდ ჩაგიკრავ, ჩაგეხუტები და ვეღარსად ვეღარ გამექცევი, ჩემო დედისერთა შვილო.

შენი მონატრებული დედა
ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე.

მიშიკო ბიკაშვილი

მიშო, დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო საყვარელო ბიძაშვილო. არა, ჩვენ ბიძაშვილ–მამიდაშვილები არ ვყოფილვართ, ჩვენ და–ძმა ვიყავით, ძალიან გული მწყდება ამ სიტყვებს გაზეთში „ნეკროლოგის“ ადგილზე, რომ ვწერ, შენ არ უნდა გადასულიყავი სამუდამო სასუფეველში, შენმა წასვლამ არამარტო ტკივილი და მონატრება დაგვიტოვა, არამედ ბევრი საფიქრალი და სანერვიულო. თუ ვინ და რატომ გაგიმეტა იმ ქვეყანაზე გასამგზავრებლად და კიდევ ბევრი ამოუხსნელი და პასუხგაუცემელი კითხვები. ბევრი ისეთი რამ, რაც შენ უნდა გაგეკეთებინა, გვაპატიე, რომ ჩვენ უკვე არაფრის შეცვლა აღარ შეგვიძლია.

შენ ოჯახის და სანათესაოს ერთი დიდი მზის სხივი იყავი, რომელიც ყველაზე მეტად ანათებდა და ათბობდა, ეგ სხივი ჩაგვიქრეს ვიღაც ბოროტმა ადამიანებმა და წაგვართვეს ბევრის დანახვის უფლება.

შენ ჩვენი უსაზღვრო მონატრება ხარ, ჩვენს ფიქრში ისევ მოსკოვიდან შენს ჩამოსვლას ყოველ წუთს ველოდებით, შენი სახით მზის სხივი კი ჩაგვიქრეს მაგრამ შენს სახელს ვერავინ წაგვართმევს, იქამდე იცოცხლებ, სანამ შენი მშობლები, ძმა, ნათესავები და მეგობრები ვიქნებით ამ ქვეყანაზე, სანამ შენთვის ერთი ადამიანიც შეძლებს ჭიქა ღვინით და ერთი სანთლით შენს გახსენებას. უკვე მერვედ 27 ნოემბერს ისევ მოვალთ შენს გაყინულ სურათთან, ისევ მოგილოცავთ დაბადების დღეს და დაგილოცავთ სამუდამო სამყოფელს.

უსაზღვრო გულისტკივილით და მონატრებით
ლიკა ლეკიაშვილი.

კლარა ოზაშვილი, რუსუდან ბალხამაშვილი, გუგული და ალეკო ალადაშვილები ოჯახით, თანაგრძნობას უცხადებენ ნიკო თულაშვილს და ლალი ალადაშვილს დედისა და დედამთილის
რუსუდან კოხტაშვილ-თულაშვილის
გარდაცვალების გამო.



მეუღლე ვერა თამაზაშვილი; შვილები, შვილიშვილები, სიძეები, რძლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან
გიორგი კუიმჩიანის
გარდაცვალებას.
დაიკრძალა ხუთშაბათს, 17 ნოემბერს დედოფლისწყაროში.

ხელგარჯილობა-მტკიცე ნებისყოფა, ლოგიკური აზროვნება, ინტელექტუალური წინსვლა, ნატიფი მოტორიკა...

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 1 წელზე მეტია, ფუნქციონირებს ხელგარჯილობის წრე და მას ხელმძღვანელობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რესტავრატორი, მაყვალა ბოჭორიშვილი. უფრო დეტალურად წრის მუშაობის თაობაზე თავად პედაგოგისგან შევიტყობთ:

-დიახ, ჩვენი ახლადშექმნილი წრე ხელს უწყობს მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორ ორგანიზებას,მოზარდთა ინტერესების მრავალმხრივ განვითარებას, მათი სულიერების სწორად ჩამოყალიბებას და ინტელექტუალური აზროვნების წინსვლას. ხელგარჯილობის გაკვეთილებზე ხელების გააზრებული, მიზანმიმართული მოქმედებით ვარჯიშდება არამხოლოდ მარჯვე ხელები, არამედ მტკიცდება მათი ნებისყოფა, ყალიბდება ლოგიკურ-განსჯითი აზროვნების უნარი. ნატიფ მოტორიკას გადამწყვეტი როლი აქვს ბავშვის გონებრივ ჩამოყალიბებაში. ჩვენი მუშაობის თვითმიზანს წარმოადგენს ბავშვების უნარ-ჩვევების განვითარება, ვცდილობთ, მათ ნამუშევრებს მიეცეს პრაქტიკული გამოყენების გზა და გავუღვიძოთ მათ სხვა ადამიანთა შრომის დაფასების უნარი.

ხატვა, ძერწვა,თიხა, მოზაიკა, თაბაშირი, პლასტელინი, ქსოვა, თოჯინების შექმნა - ეს არასრული ჩამონათვალია ჩვენი შემოქმედებითი შრომისა, თუ გამოჩნდებიან გობელენით დაინტერესებული ბავშვები, მათთანაც სიამოვნებით ვიმუშავებთ: - გვიამბობს ქაკბატონი მაყვალა და იგრძნობა, რომ იგი ამ საქმის პროფესიონალია, ეს მისი თუ მისი მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრების დათვალიერებითაც კარგად ჩანს. მოსწავლეების:ანა ბანაშევსკაიას, ლიზი ცქიტიშვილის, ანდრეა სტეფნიაშვილის, ელენე ჭუაძის, ანი,ნინი და თაზო ყაზარაშვილების, ლევან დავითაშვილის, გიორგი და საბა ბოჭორიშვილების, ლუკა და ლანა თეთრაძეების თვალით დანახულმა არაჩვეულებრივმა ნამუშევრებმა 1ივნისს ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ გამოფენაზე უკვე ჩააბარეს ტესტი და მაღალი შეფასებაც დაიმსახურეს, ახლა ისინი მომავალი გამოფენებისთვის უფრო მეტი შემართებით ემზადებიან, რაშიც მათ მუდმივ მხარდაჭერას უცხადებს როგორც მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ადმინისტრაცია, ასევე რაიონის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური.

რედაქციაში ამ შეხვედრის შემდეგ შევიტყეთ, რომ მაყვალა ბოჭორიშვილი დირექტორი, N2 საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლე სოფიო ჯეთერიშვილი, რომელიც გასულ წელს „ დედოფლისწყაროს ახალგაზრდული იდეის“ პროგრამული დირექტორი გახლდათ, უფრო კონკრეტულად აგვიხსნის მათი მუშაობის შესახებ:

- ჩვენმა ჯგუფმა მონაწილეობა მივიღეთ “დედოფლისწყაროს ახალგაზრდული იდეის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსზე სოციალური მეწარმეობის პროექტში, გავიმარჯვეთ, გრანტი მოვიპოვეთ და ახლა ვასრულებთ ჩვენს მიერ აღებულ ვალდებულებებს. ჩვენი პროექტი ხორციელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის, ადაპტირებულ გარემოში მათი უნარების უფრო მკვეთრად გამოვლენისა და საზოგადოებაში მეტი ინტეგრაციის მიზნით. 9 მათგანი უკვე მუშაობს ამ პროექტის ფარგლებში, შევუძინეთ ყველა საჭირო ნივთი და მხარეთმცოდნეობის მუზეუში მათ ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად, სრულიად უსასყიდლოდ ამუშავებთ მაყვალა ბოჭორიშვილი, რისთვისაც, ვსარგებლობ შემთხვევით და ჩვენი პროექტის სახელით, მადლობას ვუხდით მას. ნოემბრის ბოლოს დაგეგმილი გვაქვს ბავშვების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, რაც ძალიან დიდი სტიმული იქნება მათთვის. იმედი გვაქვს, ჩვენი რაიონის საზოგადოება დაესწრება გამოფენას და შეძლებისდაგვარად წავახალისებთ მათ.

ჩვენ წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენი ახალგაზრდების ჯგუფს ამ წამოწყებულ საქმეში, რომელიც უკვე საწინდარია სამომავლოდ კიდევ უამრავ პროექტში გამარჯვებისა.

ელზა ხარაშვილი

ყურადღება!

გვესაჭიროება კვალიფიციური გამყიდველი მაღაზიაში, ნახევარ განაკვეთზე. ანაზღაურება შეთანხმებით - შესაბამისი და მზარდი.

დედოფლისწყარო, ნიკორციხის ქ.N39

საკონტაქტო ტელეფონი

☎ 595 85 49 49

იყიდება!

სასწრაფოდ იყიდება 1200 კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მეგობრობის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. მსურველები დაუკავშირდით:

☎ 577 41 72 25,

მირიანი

მადლიერება

ახლადგახსნილ საავადმყოფოში უმძიმეს მდგომარეობაში შემოვედი, მაგრამ მედპერსონალის დაუღალავმა შრომამ და ჩემი გადარჩენისთვის გათენებულმა ღამემ მეც გამითენა დილა. მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს ჩემი და ჩემი შვილების სახელით, როგორც ახალი საავადმყოფოს პირველმა პაციენტმა და მადლობის ნიშნად სიმბოლურად გადმოგცეთ ღვთისმშობლის ხატი და მოკრძალებით მოგიძღვნათ რამოდენიმე სტროფს:

ნურც ერთ მშობელს ნუ გაწირავ,
ღვთისმშობელო დედა,
მოგვაცილე ტკივილი და აგვარიდე სევდა,
ავადმყოფებს ჩაუნერგე სიცოცხლისა რწმენა,
მადლობისთვის მოგვიბრუნდეს
მხოლოდ თქვენთვის ენა!
სულის ჩადგმა შეუძლია ღმერთის
შემდეგ ექიმს,
შეგავედრებ ღვთისმშობელო, მე
თვითეულ ექიმს,
ყოველ მედდას ჩაუნერგე გამარჯვების ძალა,
სანიტრებიც დამილოცე,
გევედრები ძალიან!
გთხოვ, ცრემლს ნურვის ნუ გაატან, დედა ხარ და მფარველი,
ამასა გთხოვ მთელი გულით, პაციენტი ჰირველი!

ნათელა (დალი)
ჯანიაშვილ-ჭუჭულაშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 21.11		სამშაბათი 22.11		ოთხშაბათი 23.11		ხუთშაბათი 24.11		პარასკევი 25.11		შაბათი 26.11		კვირა 27.11	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	-1 °	-2 °	-4 °	-5 °	-3 °	-5 °	-2 °	-5 °	-2 °	-3 °	0 °	-1 °	3 °	1 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ჯოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.